საქართველო

მიიღება განცხადებები

სტრიქონი პეტიტი 1-ლ გვერდზე 4 მანეთი მე-4-ე გვერდზე—3 მანეთი. გარეშე ცნობებში შე-თანხმებით სტრიქონზე არა ნაკლებ 6 მან.
სამგლოვიარო განცხადება—120 მან. 30 სტრიქონის. ორი საათის შემდეგ სტამბაში 150 მან.

გაზეთის გამოწერა ერთი წლით 1000 მან. შეიძლება ნაწილ ნაწილად გადახდა.
6 თვით 600 მ., 3 თვით 300 მან.
კონტორა ღიაა 9 ს.—3 ს. და საღ. 5—7 ს. უქმე-დღეებში კონტორა დაკეტილია.
მისამართი: თბილისი, სასახლის ქ. № 5. კონტორის ტელეფ. 15—73.

წელიწადი მეექვსე. კვირა, მარტი 14 1920 წ. № 58 ფასი 5 მან.

თეატრი
კინო-პალასი
მიხეილის პრ. № 125.

მხოლოდ ორი დღით

პარასკევს 19-ს და შაბათს მარტის 20-ს იდგმება

„თანამედროვე ებრაული პალესტინა“

იერუსალიმში მირჟულ პალესტინურ კინემატოგრაფიულ ფაბრიკა „მენორა“-ს ცნობილი სურათი.

სურათი გადაღებულია 1919 წელს იერუსალიმში მხატვრულ აკადემია „ბეცილელ“-ის დირექტორის პროფ. ბ. შატცის ხელმძღვანელობით.

სურათს თან სდევს საგანგებო ურიული მუსიკა და პალესტინური სიმღერები ხორისა, კვინტეტის და სახელმწ. თეატრის ი. ზ. როგაჩევსკის მონაწილეობით.

პეტროგრადის კონსერვატორიის ლაურეატის ბ. მ. მოჩოზას პირადი მეთვალყურეობით.

ბილეთები წინდაწინვე იყიდება თეატრის კასაში საღ. 6 საათზე.

0—1

ქვრივი ელენე ვახრანგის ასული, დავით ვლადიმერის-ძე და თამარა დავითის ასული ფაჩნაძე, ნინო ვლადიმერის ასული და პავლე პორფირის-ძე კავილაძე, თამარა ვლადიმერის ასული და ირაკლი ბაგრატის-ძე ზიდგინიძე, ქეთევანი ვლადიმერის ასული და ალექსანდრე სამსონის-ძე ნიჟარაძე გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ მათი დაუვიწყარი საყვარელი ქმრისა და მამისა პოლკოვნიკის

ვლადიმერ (ლადო) დავითის ძე ფაჩნაძის

ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი გარდახდილი იქნება კვირას 14 მარტს ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. წირვა დაიწყება 10 საათზედ პანაშვიდი 12 საათზედ.

2964—1—1

ქართველ მსახიობთა საპროფესიო კავშირის საბჭო მწუხარებით აუწყებს თავის წევრთ და ქართველ საზოგადოებას, რომ კვირას 14 მარტს, გადახდილი იქნება ორმოცი დღის თავზე წირვა და პანაშვიდი ნიჭიერ ახალგაზრდა მსახიობ

გიორგი არადელი—იოშხნელის

სულის მოსახსენებლად. ქვაშვეთის ეკლესიაში. პანაშვიდი დაიწყება 12 ნახ. საათზე.

48 1—1

მშობლები სოფიო სოლომონის ასული ლუარსაბ ალექსანდრის ძე ფავლენიშვილები შვილებით შალვათი და თამარით თავის ქმრით შალვა ანდრიაშვილით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ რომ დღეს თოთხმეტ მარტს ქ. დუშეთში იქნება გადახდილი ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი მათი ძვირფასის და დაუვიწყარის

ვლადიმერ (ლადო) ფავლენიშვილის

სულის მოსახსენებლად.

2960 1—1

დედა ანნა ივანეს ასული ფაჩნაძე, ნინო ბოდბის მონასტრის იღუმენია და ალექსანდრა დავითის ასული ჟორჟაძე მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ მათი დაუვიწყარი და საყვარელი შვილისა და ძმისა პოლკოვნიკ

ვლადიმერ (ლადო) დავითის ძე ფაჩნაძის

ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი გარდახდილი იქნება კვირას 14 მარტს ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში წირვა დაიწყება 10 საათზედ. პანაშვიდი 12 საათ.

2964 1—1

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები ნესტორ და ივლიტა შვილებით დავითით და თამარით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ თავიანთ ძვირფასის და დაუვიწყარის შვილის 1 ვაჟთა გიმნაზიის მე-8 კლასის მოწაფის

კონსტანტინე (კოლია) ნესტორის ძის მერკვილაძის

გარდაცვალებას 12 მარტს 1920 წ. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე გამოსვენება მოხდება სამშაბათს, 16 მარტს დილის ათ საათზე წყნეთის ქუჩიდან № 12 ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაზე, სადაც წირვის შემდეგ მოხდება დაკრძალვა.

2959 2—1

თბილისის დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესიის კრებული საბჭო და მრევლი ღრმა პატივის ცემით აუწყებს საზოგადოებას, რომ ამ ტაძარში კვირას 14 მარტს დანიშნულია განსაკუთრებული წირვა და პანაშვიდი

ქ. გორში და მის მიდამო სოფლებში მიწის ძვრისაგან გარდაცვალებულთა

სულის მოსახსენებლად.

წირვა დაიწყება 10 ს. პანაშვიდი 12 საათზე.

2981 1—1

ღრმათ დამწუხრებულნი მშობლები თინათინ გიორგის ასული და დავით ილარიონის ძე ფორაქიშვილები მებია ელისაბედ სვ. ასული კნ ვაჩნაძისა აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ თავიანთ ძვირფასის და დაუვიწყარის შვილის როტმისტრის

გიორგი დავითის ძის ფორაქიშვილის

გარდახდილი იქნება წლის წირვა კვირას 14 მარტს ალექსანდრე-ში წმ. მარინეს ეკლესიაში წირვის დასაწყისი 10 საათზე პანაშვიდი 12 საათზე.

2954 1—1

კვირას, 14 მარტს სამხედრო ტაძარში გარდახდილ იქნება პანაშვიდი მოსკოვში ბოლშევიკების მიერ მოკლულ

დავით დიმიტრის ძის კილოსანიძისა

რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძმები: ვასილ და ექიმი მიხეილ დიმიტრის ძენი კილოსანიძენი ოჯახობით.

2967 1—1

დღეს კვირას 14 მარტს ქუთაისში წმინდა გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვა და შემდეგ პანაშვიდი ორმოცის დღისა შემდეგ გარდაცვალებისა კნეინა

ელენე (იულია) დადიან ს ასულის წულუკიძისა

რასაც აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ დამწუხრებულნი: ძმა მისი იოსებ დადიანი ოჯახობით, ძმის წულები ილია დადიანი და ეკატერინე ქვრომბოვისა ოჯახობით და მაზლის წული ვლადიმერ წულუკიძე ოჯახობით.

2970 1—1

სახელმწიფო თეატრი

მესხიშვილის ხელმძღვანელობით

დღეს მარტის 14-ს

დილით	საღამოთი
„ქეთო და კოტე“.	„აბესალომ და ეთერი“

სახელმწიფო თეატრი

სამშაბათს 16 მარტს

ქართველ მსახიობთა მიერ წარმოდგენილი იქნება

მეორედ

სინათლე

I ნაწ. მუსიკა გ. ფოცხვერაშვილისა.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. დასაწყისი 7 ნახ. საათზე.

47 2—1

ამხ.-ბა „დროშა“

პლეხანოვის პრ. (ყოფ. მიხეილის) № 88

კირკას გვერდით.

დოროფეევის ყოფილ ფირმის მოსამსახურეებისგან დაფუძნებული.

მიღებულია დიდი პარტია

ნამდვილ ინგლისური შევიოტისა.

ქალებისა და ვაჟების კოსტიუმებისთვის

ამასთანავე ყოველგვარი ქსოვილები თეთრეულისთვის, ქალებისა და მამაკაცებისთვის.

ჩულქები, წინდები, საბნები, ხელსაწმენდები, ცხვირსახოცები, როგოჟკა, პარუსინა—ბრეზენტი და მრ. სხ.

მაღაზია ღიაა 9—2 ს. და საღ. 4—7 ს. შაბათობით დღის 9—2 ს.

2955—2—2

ამიერ-კავკასიის ბანკი

ამით აცხადებს, რომ მარტის 15-ს დღის 1-ლ საათზე დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ვადაგასულ ხალიჩებით

რომლებიც ცოტა დღეებით დაგირავებული და გამოუხსნელი.

ხალიჩების გასინჯვა შეიძლება ვაჭრობის დღეთ ბანკის საწყობში სადაჯო ქუჩაზე № 4.

2932 3—2

საქართველოს ცენტრალური სავაჭრო-სამრეწველო

ბანკი

(ცენტრობანკი)

ძირითადი თანხა 30.000.000 მან.

1920 წლის 21 მარტს (კვირას), დილის 12 საათზე, ცენტრობანკის ბინაზე (პუშკინის ქუჩა № 3) დანიშნულია ხსენებულ ბანკის აქციონერთა პირველი საზოგადო კრება შემდეგი საკითხების განსახილველად:

1. საორგანიზაციო კომიტეტის მოხსენება ბანკის მოწყობის შესახებ.
2. 1920 წლის ხარჯ-აღრიცხვა.
3. ბანკის გამგეობისა, საბჭოსა და სარევიზიო კომისიის არჩევა და
4. საკითხები.

შენიშვნა: თუ აქციონერი რაიმე მიზეზით ვერ ესწრება საზოგადო კრებას, შეუძლია მას თავისი უფლება სხვას გადასცეს, ისევ ხმის უფლებიან აქციონერს, მაგრამ ერთსა და იმავე პირს არ შეუძლია საზოგადოთ ორ ვექილობაზე მეტი ქონდეს. ვექილობა ხმის მისაცემად უნდა დაიწეროს წერილის სახით, რაიც უნდა წარედგინოს საორგანიზაციო კომიტეტს და მათ რწმუნებულებს არა უგვიანეს სამი დღისა საზოგადო კრების დღემდე.

44 3—3

ქირავდება

მაღაზიის ერთი თვალი

ოლღას ქუჩაზე № 28, კოოპერატივ „დახმარების“ გვერდით.

პირობების გაგება შეიძლება გვერდზედ კოოპერატივის მაღაზიაში.

ამ დღეებში გაიხსნება რესტორანი

„არწივი“

(ერევნის მოედანი, თამამშევის პასაჟი)

● კაბარე ●

„მხიარული არლეკინი“

მოწვეულნი არიან საუკეთესო არტისტები: როსტოვიდან, ეკატერინოდარიდან და ოდესიდან. ტრუპას ხელმძღვანელობს კავკასიაში ცნობილი ადმინისტრ. ფ. ს. ალექსანდროვი.

დაწვრილებით იქნება გამოცხადებული აფიშებში.

კონფერანსიე ? დირექცია ბაქოს ამხანაგობისა.

2952 3—3

სავაჭრო „ძმური საქმე“ სახლი

სასახლის ქუჩა № 4 ტელ. 19—09.

აცხადებს მუშტრების საყურადღებოთ, რომ მას აქვს მიღებული დიდი ძალი ჩვეული ყოველგვარი ფართლეულის, სუფრასაფარები, ზეწრები, ძაფები, ემალის ჭურჭლეულობა, ბოქლომები, ჯიბის დანები, სამართებლები, ბოლოები ყველა ზომის და ყოველგვარი მანქანების სარტყლები, ფეხსაცმლები ქალის და კაცის, ფეხსაცმლის ლაქები, შეკერილი ქალების კაბები და კოსტიუმები და ბევრი სხვა და სხვა საქონელი. ყველა საქონლები ინგლისური ნაწარმოებია, გაყიდვა მხოლოდ პარტიობითაა. ფასები კონკურენციის გარეშეა.

კონტორა გაღებულია დილის 10 3 საათამდის და საღამოს 6—9 საათამდის

სავაჭრო სახლი „ძმური საქმის“ გამგეობა

45—5—2

კიდევ ერთი დღით, დღეს, მარტს 14 ს

მიხეილის
ა ლ კ რ ა ე
პლეხანოვის ქ. 91

პირველად თბილისში
ტრიუკის დრამა

სიკვდილის ბრჭყალებში

4 ნაწილად პროლოგით

მთავარ როლებში; ლონდონის სამეფო თეატრის არტისტები

დასასრულ კომიკური და სანახაობითი. სიმფონიური ორკესტრი.

თბილისის სასოფლო სამეურნეო საურთიერთო
ნდობის საზოგადოების ჩვეულებრივი
წლიური კრება

დანიშნულია 28 მარტს დილის 11 საათზე, ნაცვლად 12 მარტს დანიშნული კრებისა, რომელიც არ შესდგა წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობისა.

განსახილველი საგნები:
1. საბჭოს მოხსენება.
2. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
3. 1919 წლის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება.
4. 1920 წლისათვის ხარჯთაღრიცხვის განხილვა და დამტკიცება.
5. არჩევა: გამგეობის თავმჯდომარის მორიგეობით გასულ ვ. რ. ყიფიანის სამაგიეროდ; საბჭოს წევრთა მორიგეობით გასულთ: ვ. ლ. მაჭავარიანისა და ალ. ხარაევის მაგიერ; სარევიზიო კომისიის სამის წევრის და მათ კანდიდატებისა.

ამ კრებაზე რამდენი წევრიც უნდა დაესწროს, კანონიერი იქნება.

2961 2—1

თბილისის საურთიერთო ნდობის კრედიტი

იუწყება, რომ კვირას, მარტის 28-ს დილის 11 ს. თბილისის არტისტიულ საზოგადოების შენობაში გაიმართება საზოგადოების წევრთა საზოგადო

წლიური კრება

იმ შემთხვევაში თუ პირველი კრება არ გაიმართება, ინიშნება მეორე კრება, კვირას, აპრილის 11-ს დღის 11 საათზე იმავე სადგომში, რომელიც ჩაითვლება კანონიერად მიუხედავად კრებაზე დასწრობილ წევრთა რაოდენობისა

კრების საგანი:

1. გადასინჯვა და დამტკიცება 1919 წლის გამგეობის ანგარიშისა, საოპერაციო წელი და ხარჯთ-აღრიცხვა 1920 წლის ხარჯების.

2. სარევიზიო კომისსიის მოხსენება 1919 წლის ანგარიშის შესახებ.

3. საბჭოს მოხსენება თავის მოქმედების შესახებ.

4. საზოგადოების საქმეთა გამგის არჩევნები ვადა გასვლის გამო ყოფილ გამგის ე. პსაროვის გასვლის გამო.

5. გამგეობის ერთი წევრის არჩევნები გიორგი თუმანიშვილის სიკვდილით განთავისუფლებულ ადგილზე.

6. საბჭოს ერთი დეპუტატის არჩევნები, ა. მელიქაზარიანცის სამსახურის ვადის გასვლით.

7. სარევიზიო კომისიის სამი წევრის და სამი კანდიდატის არჩევნები.



პირველ-ხარისხოვანი
ცირკი „პრისტენს"
ვერის დაღმართზე. ტელ. 5-62.
კვირას მარტის 14 ს 1920 წ.

გაიმართება გრანდიოზული წარმოდგენა. მონაწილეობენ ახალი დანიელთა სალონების აკრობატები კლაი და კლაი გამოჩენილი რომის გლადიატორები 2 გლორიი 2 საერთაშორისო ფალავანების ფრანგული ჭიდაობის გაგრძელება 1920 წ. მსოფლიო ფალავანის სახელის მოსაპოვებლად. არბიტრ ვ. კვიატკოვსკი.

დღეს გადამწყვეტი ჭიდაობაა თურქულ მოჭიდავესი გენჯა ალის და შავი ნილოსის ახალგაზრდა ლამაზი მოჭიდავე ჯიოვანი ბუიოვლოვის წინაალმდეგ. ხანდაროვი ოლეინიკოვი.

დასაწყისი 8 ნახ. საათზე. ◆ პარადი—10 ნახ. საათზე.

დღეს კონტრამარკები არ გამოიდება.

გამგე: იურიევი.

სასწორები

დამზადებული სასადილო, ათეულების, ასეულების, დაბეჭდილი იყიდება კეკვის ქარხ. თბილისის განყოფილებაში თბილისში —ი. მ. არონოვიჩთან. პლეხანოვის ქ. № 108.

მუშაობა სწარმოებს საქართველოს რესპუბლიკის წონისა და სასწორთა პალატის ნებართვით.

2963 1—1

დღეს:

იაპონიასა და ამერიკის შორის მოხდა შეთანხმება იაპონიის ჯარი მიერ ციმბირიდან გასვლის შესახებ.

მურმანისკენ ბოლშევიკები წინ მიდიან.

სტავროპოლთან ჩრდილო-დასავლეთით და აღმოსავლეთით მკაცრი ბრძოლაა.

პოლონეთი რუსეთთან საზავო მოლაპარაკებას აწარმოებს.

—

საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობით საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ბათომის საკითხის გამო ადვილი შესაძლებელია მოინახოს საერთო ენა ამ საკითხის ორივე რესპუბლიკისათვის დამაკმაყოფილებლად გადასაწყვეტათ.

—

წერილები:

მეთაური—ტარიფი.
— ევროპის საჭიროებანი.
— თანამედროვე სპარსეთი.
— ბათომის გარშემო.
— ვაჭრობა-მრეწველობა.

ექიმი
დ. ი. ჯაფარიძე
შინაგანი, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი.
ავადმყოფების მიღება 12—1 ნახ. ს. მადათოვის ქ. № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელ. 16-65.

მედიცინის დოქტორი
მ. ა. ახვერდოვი
პეტროგრადის ვენერიული კლინიკის ყოფილი ორდინატორი, იღებს ავადმყოფებს სპეციალურად ვენერიულის, სიფილისის, კანის ავადმყოფებიანი, დილით 10—12 საათამდე, საღამოს 5—7 ნახ. საათ. ახალ ბინაზე მიხეილის პრ. № 7 ვორონცოვის ძეგლთან. შესავალი ეკლესიის ქუჩის კუთხიდან.

ტარიფი

შრომის საკითხი—ერთი უმთავრესი საკითხთაგანია საქართველოს ცხოვრებისა და ამავე დროს, ყველაზედ ნაკლებ მოწესრიგებული.

შრომა ჩვენში ისე კი არ არის დაფასებული, თუ რამდენად საჭიროა და მიზან შეწონილი სახელმწიფოს ინტერესებთან და მის ეკონომიურ კეთილდღეობასთან, არამედ მუშათა პირად სარგებლობაზედ და მხოლოდ მის მაქსიმალურ უზრუნველყოფზედ არის დამყარებული ამ შრომის ფასი.

ხდება ისეთი ანორმალური მოვლენა, რომ იმის ნაცვლად, რომ მუშა იყოს დამოკიდებული წარმოებისაგან და ამისთვის, მის წარმატებაზედ ზრუნავდეს, თვით წარმოება ხდება მუშისაგან დამოკიდებული, კვალ და კვალ მისდევს მის მოთხოვნილებათ, როგორც ტარიფის გადიდებაში, ისე შრომის ინტენსიობის დაცემაში და, ბოლოს, ილაჯ გაწყვეტილი მწარმოებელი იძულებული ხდება დავრდომილი დაეცეს, მუშათა მოთხოვნილებების შეუჩერებელი ზრდის წინაშე.

და იმის ნაცვლად, რომ სახელმწიფოს განსაკუთრებულ საზრუნავს დღეს, საწარმოო ძალის განვითარება შეადგენდეს, ახალ ფაბრიკა-ქარხნების გახსნა და ამ საქმის ინიციატორთათვის ხელის გამართვა, მთავრობა გულ გრილად შესცქერის, თუ როგორ ჩერდება და იხურება მთელი რიგი ისეთი წარმოებათა, რომელნიც დღეს განსაკუთრებულ საჭიროებას წარმოადგენენ სახელმწიფოსათვის—იხურებიან მისთვის, რომ ვერ უძლებენ შრომის აუტანელ პირობებს.

ჩვენ ყველას გვახსოვს, ის რიხი, რომლითაც ჩვენმა მომარაგების მინისტრმა მოითხოვა 50 მილიონი მისთვის, რომ მუშათა ტარიფის გადიდების ნაცვლად. მოემარაგებია მათთვის პირველ-საჭიროების საგნები; მომარაგების მინისტრმა ეს 50 მილიონი მიიღო, მაგრამ მეორე დღესვე, შევიდა თუ არა თავის მეორე კაბინეტში, სადაც შრომის საქმეებს განაგებს, 40 პროცენტით გაადიდა მუშათა ჯამაგირები.

ბაზარმა, რასაკვირველია, მაშინვე უპასუხა ფასების გადიდებით—რადგან ასეთია ცხოვრების ულმობელი კანონი, რომელიც ჯერ კიდევ ვერ შეუსწავლია ბ-ნ ერაძეს, ვერც შრომის და ვერც მომარაგების კაბინეტი.

მაგრამ მომარაგების მინისტრმა, ალბათ, ვერც კი მოასწრო სახელმწიფო ხაზინიდან ამ 50 მილიონის გამოტანა, რომ არც აცივა და არც აცხელა და დამფუძნებელი კრების ერთერთ სასწრაფო სხდომაზე ამავე მიზნისათვის ისევ გამოიტყუა 250 მილიონი ისეთი სისწრაფით, რომ დამფუძნებელი კრების არა მენშევიკურმა ფრაქციებმა, მხოლოდ თვით დარბაზში თუ მოისმინეს პირველად, ახალი წინადადება.

250 მილიონი ჩაბარდა ბ-ნ ერაძეს. შედეგი?

შრომის ტარიფის ახალი გადიდება! და უკვე 60 პროცენტით.

და ეს გადიდება მოხდა არა საკანონმდებლო გზით, როგორც მიღებულია დემოკრატიულ წყობილებისათვის, არამედ ბოლშევიკურ ანარქისტული მეთოდით: სტარიფო პალატამ დაადგინა, მუშათა უმრავლესობამ გაფიცვის ტერორის ქვეშ მიიღო ეს მომატება მწარმოებელთაგან, ბაზარმაც, რასაკვირველია, დაუყოვნებლივ გასცა სათანადო პასუხი და ჩვენი „სადეკრეტო ინსტიტუტი", დამფუძნებელი კრება, მიუხედავად იმისა, რომ წინაამდეგი იყო ამ მომატებისა, უკვე ფაქტის წინაშე დადგა და იძულებული შეიქნა დაემტკიცებია იგი „იძულებითი" დეკრეტით!

მაგრამ არც ეს ყოფილა საკმარისი! მუშათა პროფესიონალურ კავშირებში ისევ დაუსვიათ დღის წეს რიგში შრომის ტარიფის ახალი გადიდების საკითხი: გაზეთები გვაცნობენ, რომ რადგანაც „მეჭდვითი საქმის მუშათა პროფესიონალური კავშირის წინადადება ტარიფის გადასინჯვის და 1-ლ მარტიდან გადიდების შესახებ უარყვეს (ალბათ კიდევ დარჩენილა სირცხვილის ნატამალი), ხსენებული კავშირის გამგეობამ მარტის 10-ს სხდომაზე დაადგინა ხელახლა მოითხოვოს ტარიფის გადასინჯვა და ჯამაგირების მომატება მოხდეს 1-ლ აპრილიდან".

ალბად ახლო მომავალში, ჩვენ კიდევ ვიხილავთ დამფუძნებელი კრების ტრიბუნაზედ ბ-ნ ერაძეს, მომარაგების მინისტრის ფორთფელით ხელში, ახალ მილლიონების მოთხოვნის.

მუშათა საჭიროებების მომარაგებისათვის, რომ მეორე დღეს შრომის სამინისტროს კაბინეტიდან წარმოადგინოს ახალი ულტიმატუმი ჯამაგირების გადიდების შესახებ.

არავინ ჰკითხულობს თუ რა მოყვება შედეგათ ამ ნაბიჯებს! ვინ დასდევს იმას, რომ ცხოვრება კიდევ უფრო გაძვირდება, ჩვენი ბონები უფრო და უფრო დაეცემიან, ხოლო ბ-ნ მომარაგების მინისტრს, ბოლოს და ბოლოს, მხოლოდ ქაღალდის მომარაგება თუ დასჭირდება ფას დაკარგულ ბონების საბეჭდათ!

ბათომის გარშემო

თბილისი მარტის 13 საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობა

რადგანაც ამ ბოლო დროს პრესასა და საზოგადოებაში გავრცელდა არასწორი შეხედულებანი აზერბეიჯანისა და საქართველოს რესპუბლიკათა დამოკიდებულების შესახებ ბათომის ნავთსადგურის გამო, ამიტომ ვალად ვსთვლი შეგატყობინოთ, რომ, როგორც გამოირკვია ეხლა ბაქოში მყოფ ჩვენი საგანგებო მისიისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ფატალით ხან-ხოილისა და აზერბეიჯანის რესპუბლიკის ხელმძღვანელ წრეებს შორის აზრთა გაცვლა-გამოცვლისაგან, სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ორივე რესპუბლიკის შორის ადვილი შესაძლებელია მოინახოს საერთო ენა ამ საკითხის ორივე რესპუბლიკასათვის დამაკმაყოფილებლად გადასაწყვეტად.

საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი აზერბეიჯანის რესპუბლიკის მთავრობასთან გრ. ალშიბაია.

— ამავე ხასიათისა და შინაარსის ცნობა აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო განყოფილებისა დაბეჭდილია გაზეთ „აზერბაიჯანში".

ევროპის საჭიროებანი

(„Times"-იდან)

„Times"ში მოყვანილია დახმარების კომიტეტის დირექტორის ვილამ გუდის მიერ გამოქვეყნებულ ოფიციალ ანგარიშის შინაარსი, ევროპაში ბრიტანეთის მისიის მოღვაწეობის შესახებ.

ვ. გუდი დაწვრილებით აღნუსხავს მისიის წარმოშობის ისტორიას და იმ პირობებს, რომელთაც შექმნეს მათი ორგანიზაცია. მოჰყავს ცნობები იმის შესახებ, თუ რა და რა ღონისძიებანი იყო მათ განკარგულებაში და რა და რა ხარჯი გასწიეს.

1919 წ. იანვარში მისია გაიგზავნა პოლონეთსა, სერბეთსა, რუმინეთს, ოსმალეთს, ჩეხო-სლოვაკას, უნგრეთს და ავსტრიაში, ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ ბალტიის პროვინციებსა და სამხრეთ რუსეთში.

დახმარების საქმისათვის დიდ ბრიტანეთმა გაიღო 12.500.000 გირვანქა, ამასთან 400.000 გირვანქა იმ ხარჯების დასაფარავად, რომელნიც გაიღეს არა ოფიციალ საქველმოქმედო ორგანიზაციებმა.

ვ. გუდი ეხება თანამედროვე მდგომარეობას და ქვემოდ ჩამოთვლილ მოთხოვნილებათა განსახორციელებლად აუცილებლად მიაჩნია დაუყოვნებლივ ღონის ძიებათა მიღება. ზავის დამყარება.

კრედიტი ევროპის ქვეყნების სურსათისთვის, ნედლ-მასალისათვის და ფულის სისტემის აღსადგენად. ტრანსპორტი—მიმოსვლის საშუალებანი, სარემონტო მასალა და ქვა ნახშირის წარმოების გაფართოება.

ეკონომიური სოლიდარობა. თავისუფალი ვაჭრობა, რომ შეიძლება მეცეთ ახალგაზრდა ეროვნებათ თავისუფლად გაცვალონ ეროვნულ არსებობისათვის აუცილებლად საჭირო საგნები.

ვ. გუდი ცალ-ცალკე ეხება ამ ღონისძიებებს. რომელთაც ბოლოს და ბოლოს წარმოება უნდა გააფართოვონ.

კრედიტის შესახებ იგი შენიშნავს: იმედი არ უნდა ვიქონიოთ რომ გაღებული იქნება ევროპის აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ეროვნებათ ეკონომიურ აღდორძინებლად საკმაო კრედიტი. საკმაო ზერელე გაცნობა მოთხოვნილებათ, რომელიც წამოყენებულია იმ ნედლ მასალის და სურსათის შესაძენად, რომელიც უნდა მოხმარდეს პოლონეთს, სამხრეთ სლოვაკიას, ავსტრიას, უნგრეთს და ბალტიის რესპუბლიკებს, და დარწმუნდებით, რომ მართლაც მათ ფინანსების დღევანდელ მდგომარეობაში მარტო მოკავშირეთა მთავრობანი ვერ შესძლებენ აიღონ თავიანთ თავზე ასეთი დავალება.

კრედიტების გამოსანახავად საჭიროა სრული დახმარება შეერთებულ შტატების. წინააღმდეგ შემთხვევაში ევროპის უდიდესი ნაწილი დემორალიზაციისა და ანარქიისკენ დაქანდება.

რაც შეეხება ტრანსპორტს ამ დარგში ეხლა ქაოსია გამეფებული. ზოგიერთ ადგილებში ვაგონებია უორთქლმავლოდ, ზოგიერთში ორთქლმავლები უვაგონოდ და ზოგან კი არის ერთიც და მეორეც მაგრამ სათბობი მასალა არ მოიპოვება.

ეკონომიურ სოლიდარობის შესახებ ვ. გუდი აღნიშნავს, რომ თუმცა მის წინადადებას, რომ მიწვეული ყოფილიყო, ჩეხო-სლოვაკიის, პოლონეთის, სერბეთ ხორვატიის სლოვენიის სახელმწიფოს, უნგრეთის და ავსტრიის მინისტრთა კონფერენცია სრულის თანაგრძნობით იყო მიღებული ამ ქვეყნების მთავრობათა მიერ. მაგრამ იდეის პრაქტიკულ განხორციელებას დაუძლეველი სიძნელენი გადაეღობნენ წინ, რადგან გამოირკვა რომ შეუძლებელ ქვეყნებს არ ძალუძთ სავაჭრო ხელშეკრულებათა დადება და საქონლის გაცვლა.

მოხსენებელი ასურათებს სამხრეთ აღმოსავლეთ და ცენტრალ ევროპის სრულ სიღარიბეს და აღნიშნავს, რომ ხსენებულ ქვეყნებს მეტად სჭირდებათ სურსათი და ნედლი მასალა.

სერ ვალგუთის ცნობებით ამ ქვეყნების მოთხოვნილება 1920 წლ. განმავლობაში შემდეგში გამოიხატება.

პოლონეთისათვის 1920 წ. სექტემბრამდის პოლონეთში უნდა შევიდეს 500 ათასი ტონი ხორბლეულობა. აგრეთვე დიდ საჭიროებას შეადგენს პოლონეთისთვის ნედლი მასალა: ბამბა, მატყლი, რკინა, ქიმიური პროდუქტები, რეზინი, მცენარეულობის ზეთი და ფოლადი. პოლონეთსავე დიდად სჭირია ვაგონები, ორთქლმავლები და სატრანსპორტო საშუალებანი.

ჩეხო სლოვაკიისათვის. მომავალ მოსავლისათვის საჭიროა ჩეხო-სლოვაკიას მივაწოდოთ 350 ათასი ტონი ხორბალი და 400 ათასი ტონი კარტოფილი. საჭიროა აგრეთვე ვაგონები, ორთქლმავლები და ვაგონების შესაკეთებელი მასალა.

რუმინეთისათვის. წარსულ წლის მოსავალმა რუმინეთში პურის მხრივ უზრუნველჰყო. შესაძლო რუმინეთიდან საკმაო ხორბალი და სიმინდი გამოვიტანოთ. რუმინეთისთვის საჭიროა მაშინები და ნედლი მასალა.

სერბია ხორვატია სლოვენიისათვის. ახალ მოსავლამდის ეს ქვეყნები სურსათით უზრუნველყოფილნი არიან. შეიძლება მათგან მოვიტანოთ: 1 მილიონი ტონი ხორბალი, სიმინდი და ღორის ხორცი. მათთვის საჭიროა ნედლი მასალა და რკინის გზის მასალები.

ავსტრიისათვის 1920 წ. პირველ 6 თვისათვის დასჭირდება 682 ათასი ტონი სურსათი წლის დამლევამდის 8. 700,000 ტონი ნახშირი და [illegible] ტონი სხვა და სხვა ნედლი მასალა.

უნგრეთისათვის მარტიდან ბუდაპეშტში სრული შიმშილი ჩამოვარდება თუ უნგრეთი სამხრეთ-სლოვიიდან არ მიიღებს იმ სურსათს, რომლებიც მას ფული სრულიად აქვს გადახდილი. უნგრეთს სჭირდება აგრეთვე ნახშირი ბამბა, მატყლი, ფოლადი, ორთქლმავლები, ვაგონები და სასოფლო სამეურნეო მანქანები.

ბალტიის რესპუბლიკათათვის. ესტონეთს წლიურ დასჭირდება 7200 ტონი ბრინჯი, ამდენივე შაქარი, 7200 ტონი მარილი, 3600 თევზეულობა, 60000 გირვანქის სამოსი, 25000 გირვანქის ფეხსაცმელი და 44000 გირვანქის მინდვრის სასუქი. ესტონეთს ძალიან სჭირდება აგრეთვე ორთქლმავალები.

ლატვიას სურსათი არ დასჭირდება. აქვს მოჭარბებულიც, ასე რომ გამოტანაც შეიძლება. ლატვიისათვის საჭიროა მხოლოდ ნავთი, ნახშირი და ხელოვნური სასუქი.

რუსეთისათვის. რუსეთსა და დანარჩენ ქვეყნების შორის თუ სავაჭრო ურთიერთობა აღსდგა, პეტროგრადსა და დანარჩენ მოზრდილ ცენტრებს შინაურ ტრანსპორტის მოუწყობლობის გამო საზღვარ გარეთიდან დასჭირდებათ სურსათის მიწოდება. სამხრეთ რუსეთს ექნება საექსპორტოთ 1—4 მილიონამდე ტონა ხორბალი. ექსპორტი შესაძლებელი იქნება თუ სამაგიეროთ მივაწვდით: ქსოვილებს, ორთქლმავლებს, სატრანსპორტო საშუალებათ და მანქანებს. რუსეთს მეტად სჭირდება აგრეთვე რეზინი და ბამბა. ნაკლებათ იშოვება აგრეთვე ჩაი, ყავა და კაკაო. ჩრდილოეთს დასჭირდება აგრეთვე სათბობი მასალა, ნახშირი, ნავთი.

ომის წინ, როდესაც ქარხნებში გაჩაღებული მუშაობა იყო, რუსეთს სჭირდებოდა მილიონ ნახევარი კიპი ბამბა. ბამბა ნაწილი რუსეთში მზადდებოდა და ნაწილი საზღვარგარეთიდან შექონდა.

სომხეთისათვის. 1920 წ. დასჭირდება 6000 ტონი ფქვილი. სურსათის გარდა სომხეთს სჭირდება ტანისამოსი და ფეხსაცმელი.

საქართველოსა და აზერბაიჯანისათვის. საქართველოს 1920 წ. დასჭირდება 15000 ტონამდე ფქვილი, სამაგიეროდ მას შეუძლიან მოგვცეს ცოტაოდენი შავი ქვა, თამბაქო და მატყლი.

ნავთით მდიდარ აზერბაიჯანს დასჭირდება ლტოლვილების გამოსაკვებად ცოტაოდენი სურსათი. საჭიროა რომ საქართველოს მივაწოდოთ სურსათი, თუნდაც იმისთვის, რომ შევძლოთ სომხეთისადმი დანიშნულ სურსათის რკინის გზით მიწვდა. ასევე საჭიროა სურსათის მიწვდა აზერბაიჯანისათვის, რომ ბაქოდან სომხურ რკინის გზებისათვის საჭირო ნავთი მივიღოთ ბულგარეთისათვის.

1919 წლის საუკეთესო მოსავალი მოვიდა. მას დასჭირდება მხოლოდ ორთქლმავლები, ვაგონები და შესაკეთებელი მასალა.

ოსმალეთისათვის. ოსმალეთს (სირია პალესტინა, არაბეთი, სომხეთი და შუამდინარე რომ არ მივიღოთ მხედველობაში) მეტად სჭირდება ბამბისა და მატყლის ქსოვილები, ტანისამოსი სატრანსპორტო მასალები და სხვა და სხვა საფაბრიკო საქონელი.

გერმანეთი არ არის მოხსენებული ამ ანგარიშში, რადგან მისიის მოღვაწეობა გერმანიას არ შეხებია.

თანამედროვე სპარსეთი

წერილი თეირანიდან

სპარსეთის მართვა-გამგეობა

სპარსეთის მართვა-გამგეობა ძირეულად არის გარდაქმნილი. 2—3 სამინისტროს ნაცვლად, ეხლა სამინისტროების სრული რიცხვია, რომელნიც ევროპიულად განათლებულისა და პატრიოტების მეთაურობით ინტენსიურ მუშაობას აწარმოებენ.

ჯერზე მომდგარ მთავარ რეფორმად ითვლება—სასამართლოს რეფორმა, ფრანგ სპეციალისტების დახმარებით, სამხედრო და სასკოლო.

სპარსეთის არმია

ამჟამად ახალ საფუძველზე ხდება სპარსეთის ლაშქრის სრული რეორგანიზაცია.

სკოლები

მრავალ არსებულ სასწავლებლების გარდა თეირანში იხსნება ქალთა პირველი სასწავლებლები, აგრეთვე სკოლები მეურნეობისა და კომერციული.

პ რ ე ს ა

პრესსა სპარსეთში მეტად განვითარებულია. მხოლოდ ყოველდღიურ გაზეთებიდან შეგვიძლიან მოვიხსენიოთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

„რაად", უფრო გავრცელებული, „ირონ", „ეტან", „მალაჯა" და მრ. სხვა,

სპარსეთის საშინაო ცხოვრება

რაც შეეხება სპარსეთის საშინაო ცხოვრებას, მთავარ გავლენიან პოლიტიკურ პარტიად ითვლება ზოგიერთ ლიბერალურ დემოკრატიული პარტია რომელსაც მეჯლისის წევრთა უმრავლესობა ეკუთვნის.

დანარჩენ პარტიიდან მნიშვნელობა აქვთ აგრეთვე სოციალისტ რეფორმისტებს და იტიდალს.

გზათა დაქცევის ხანძიმე

რევოლუციის გაძლიერებას ხელს უწყობს მხარის მძიმე ეკონომიური მდგომარეობა, რომელიც ომის გამო მსგავსად კულტურულ ქვეყნებისა, მძიმე კრიზისს განიცდის. ომის შედეგები იგრძნო მეტადრე ირანმაც. უფრო მძიმე დაღი დაასვა მას გზების დაქცევამ მხოლოდ სპარსეთის ყურე პორტები არის ამ ჟამად თავისუფალი სავაჭრო გაცვლა-გამოცვლისათვის.

მართალია ინგლისური კომპანიები აპირობენ რამდენიმე ტრანსპარსულ რკინის-გზების გაყვანას, რომელსაც მიზნად აქვს კასპიის ინდოეთის ოკეანესთან შეერთება. მაგრამ მათი მუშაობა ხელ-ახლა იწყობა და მანამდე კი ევროპასთან უგზოობის გამო სპარსეთი დიდ ეკონომიურ კრიზისს განიცდის.

ქუჩუკ-ხანი.

ცნობილი ქუჩუკ-ხანი, რომელიც ამ ჟამად მენჯილში იმყოფება, გილანის გუბერნატორის ალიიან მოქმედების წყალობით, შეურიგდა სპარსეთის მთავრობას. ამ ჟამად მთავრობას მასთან მოლაპარაკება აქვს გამართული იარაღის დაყრის შესახებ.

ამას წინად რუისტერის მიერ გავრცელებული ცნობა თითქოს ქუჩუკ-ხანს ინგლისი აედოს და ყაზვინში ინგლისელებთან ცხარე ბრძოლა ჰქონდეს, გამართული სიმართლეს სრულიად მოკლებულია.

ქურდისტანში.

ქურდისტანში ამ ჟამად დიდი მღელვარებაა გამოწვეული სიმკოს რაზმების წყალობით.

სპარსეთის მთავრობამ მის წინააღმდეგ გაგზავნა ჯარები რომელნიც სიმკოს ძალას თანდათანობით სტეხავენ.

სპარსეთი და აზერბაიჯანი.

ინგლისის კომპანიების მიერ რკინისგზათა გაყვანა სპარსეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობას უფრო აძლიერებს. კასპიის რკინის-გზის გაყვანა ინდოეთთან აზერბაიჯანს აძლევს გზას აღმოსავლეთში, ხოლო სპარსეთს ახლო გასავალს ევროპაში.

ამ ჟამად ბაქოში თავდება მოლაპარაკება სპარსეთის მისიასთან ტრანზიტისა და სავაჭრო გაცვლა-გამოცვლის შესახებ, რაც დიდ გავლენას მოახდენს არა მარტო ამ ორს სახელმწიფოზე, არამედ სრულიად საშუალო აზიაზედაც.

ეს საკმაო გაცვლა-გამოცვლა სპარსეთს აძლევს შესაძლებლობას გააძლიეროს თვისი ურიცხვი ბუნებრივი საწარმოო ძალები, ხოლო აზერბაიჯანს დაუახლოვდეს უფრო მჭიდროდ სპარსეთს რომელთანაც არა მარტო პოლიტიკური და ეკონომიური არამედ დიდი სულიერი კავშირიც აქვს.

სპარსეთის მთავრობამ პირველმა აღიარა აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის ფაქტი და გაგზავნა ბაქოში დელეგაცია პოლიტიკური და ეკონომიურ დაახლოების შესახებ მოსალაპარაკებლად.

სპარსეთის მომავალი

დიდი რუსეთის სიახლოვე სჩრდილავდა სპარსეთს: რუსეთის გავლენა ახშობდა სპარსეთის სახელმწიფოებრიობას, კულტურას და გაჭანებას არ აძლევდა.

დღეს მას რუსეთის პირველი მეზობლად ჰყავს მაჰმადიანური სახელმწიფო ბუფერი, რომელიც დიდად შეუწყობს მას ხელს სახელმწიფოებრიობის განმტკიცებაში.

უცხოეთი

რუსეთი

ბოლშევიკების სამხედრო ცნობა.

(საქ. დეპ. სააგ.)

მურმანის მიმართულებით რკინის გზის ხაზზე ჩვენი წინსვლა გრძელდება. გომელის რაიონში რეჩიცის ჩრდილო-დასავლეთით და დასავლეთით ჩვენ სოფლები ავიღეთ და შეტევას განვაგრძობთ. ოვრუჩ-კოროსტენის მიმართულებით ოვრუჩზე ჩვენი შეტევა კარგად ვითარდება. პოდოლ-მოგილევის რაიონში ჩვენ ოზარინცი ავიღეთ (ჩრდილოეთით 10 ვერსზე), პეროკოპის რაიონში ბრძოლა ცხელდება. ეისკის რაიონში ჩვენ სტაროდერევიანკოვსკაია ავიღეთ. წამოვიყვანეთ 300 ტყვე, ხელში ჩავიგდეთ 3 ტყვიისმფრქვეველი და განვაგრძობთ შეტევას. დამატებითი ცნობებით 10 მარტს უმანსკის ყაზახთა მტრის პოლკი მუსიკით და დროშებით კრილოვსკაიას სტანიცაში მოვიდნენ და იარაღი დაყარეს. ტიხორეცკაიას ჩრდილო-დასავლეთით 40 ვერსზე ჩვენ ბრძოლით პავლოვსკაია ავიღეთ. სტავროპოლის რაიონში მტერი ქალაქის სამხრეთ-დასავლეთისაკენ უკუ ვაგდეთ. წამოვიყვანეთ 300 კაცი ტყვეთ. სვიატო კრესტის რაიონში პიატიგორსკის ჩრდილო-აღმოსავლეთით 50 ვერსზე სოფლები ავიღეთ.

პოლონეთი

1772 წლის საზღვრები.

მახკოვი. ვარშავიდან ვოლფის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება: არ უნდა იყოს სავსებით სწორი ის აზრი თითქოს პოლონეთი დაჟინებით მოითხოვს 1772 წლის საზღვრებსო. ფიქრობენ, რომ პოლონეთი მოითხოვს ბელორუსიის მხოლოდ იმ ადგილებს, რომელიც კათოლიკეებით არის დასახლებული. პოლონეთს სურს უზრუნველ ჰყოს დამოუკიდებლობა ლატვიის, ესტონეთის, ფინეთისა და ლიტვის და უკრაინას კი თვითგამორკვევის უფლება უნდა მიეცეს. რუსეთისაგან პოლონეთი მოითხოვს გარანტიას ბოლშევიკური პროპაგანდის საწინააღმდეგოთ, მაგრამ არ მოითხოვს უთუოდ, რუსის ჯარის დემობილიზაციას. ფართე იქნება ფინანსიურ სამეურნეო ანაზღაურების მოთხოვნილება. რუსეთში დასავლეთ-ევროპის დემოკრატიული დაწესებულებების შექმნა არ იქნება ხელშეკრულობის პირობა. ამ ჟამად მოსკოვსა და დასავლეთ სახელმწიფოთა შორის მოლაპარაკების მომენტი თვალსაჩინოთ მოახლოვდა. შესაძლებელია, მოხდეს გრთალ მოლაპარაკება პოლონეთსა, ინგლისსა საფრანგეთსა და რუსეთს შორის.

საზავო ხელშეკრულების პროექტი

(საქ. დეპ. სააგ.)

რევალი. 7 მარტი. „ბერლინერ-ტაგებლატ"-ის კორესპონდენტი ჰააგიდან იუწყება, რომ გენ. პილსუდსკიმ უმაღლეს საბჭოს საზავო ხელშეკრულობის პროექტი წარუდგინა. კორესპონდენტი ხაზს უსვამს: პოლონეთი იწყებს საზავო მოლაპარაკებას იმიტომ, რომ მოკავშირეები მას მატერიალურად და მორალურად საკმარის დახმარებას არ უწევენ.

„დეილი ტელეგრაფ"-ი აცხადებს: „პოლონელები ფიქრობენ ფინეთთან ერთად განაპირა სახელმწიფოებზე ბატონობა დაიწყონ. „მორნინგ-პოსტის" ცნობით ინგლისი აპირებს პოლონეთსა და ბალტიის ზღვის შორის მდებარე ოლქები თავის ფინანსიურ გავლენას დაუმორჩილოს, ამისათვის ის მხარს დაუჭერს ყოველ ნაბიჯს, რომელიც განაპირა სახელმწიფოების მდგომარეობას გააძლიერებს.

შვეცია

(საქ. დეპ. სააგ.)

სოციალისტები შვეციის მთავრობაში

შვეციის მთავრობის ახალ შემადგენლობაში სულ სოციალისტები არიან.— პოლონეთის ზავის შესახებ უცხოელი გაზეთები იუწყებიან, რომ პოლონეთმა უმაღლეს საბჭოს წარუდგინა საბჭოთა რუსეთთან საზავო ხელშეკრულობის პირობები. პოლონეთი აცხადებს, რომ ის იძულებულია წავიდეს ზავ-შეთანხმებაზე მხოლოდ იმიტომ რომ მოკავშირეები მას მატერიალურად და მორალურად საკმარის დახმარებას არ უწევენ: თავის მოთხოვნილებაში საბჭოთა რუსეთის მიმართ, პოლონეთი ისე შორს მიდის, რომ ფიქრობს დაჟინებით მოითხოვოს უკრაინიდან საბჭოთა მთავრობის და წითელი არმიის გაყვანა. პოლონელებს იმედი აქვს, რომ პატარა განაპირა სახელმწიფოები გააერთიანოს და მათ ხელმძღვანელობა გაუწიოს საბჭოთა რუსეთთან საზავო მოლაპარაკების საკითხებში—საფრანგეთის ბურჟუაზიულ მთავრობას ბოლშევიკური მოძრაობის ეშინია. სენატში შეიტანეს შეკითხვა: როგორ ზომებს მიიღებს მთავრობა ბოლშევიკური აგიტაციის საწინააღმდეგოთ. ფრანგებს ეშინიათ, რომ სოციალისტების გადაწყვეტილება მესამე ინტერნაციონალთან შეერთების შესახებ იარაღის საშუალებით ძალა-უფლების ხელში ჩაგდებას გამოიწვევსო.

იაპონელები ციმბირს სტოვებენ. ამერიკასა და იაპონიას შორის შეთანხმება მოხდა იაპონელების მიერ ციმბირის დატოვების შესახებ.

პარტიული ცხოვრება

ქ. ფოთი.

მარტის 6 ს. საღამოს 6 საათზე ეროვ-დემ პარტიის ბიუროში გამართა პარტიული კრება. დღის წესრიგში იყო: 1) მიმდინარე წლის ხარჯთ აღრიცხვა 2) კომიტეტის წევრების ახალი არჩევნები 3) საფინანსო და საპროპაგანდო კომის ის წევრების არჩევნები. კრებას თავჯდომარეობდა მიხეილ სახახტარიშვილი. კრებამ აირჩია კომიტეტის თავმჯდომარედ ს. გაგუა წევრებად. ი. გაბელია, ს. ოყუჯავა, ვ. ლომბერიძე და ქ.ქორიავა. მდივნად ა. ჭანია.

საფინანსო კომისიაში შედიან თავჯდომარედ ბოლქვაძე წევრებად: ზ. ქვარცხავა ივ. ფანცულაია ერ. მოისრაფიშვილი და შაქ. ხორავა. აგრეთვე იქნა არჩეული შვიდი კაცისაგან საპროპაგანდო კომისიის წევრები.

12 მარტის დღესასწაული

პარასკევს, 12 მარტს, დიდი თბილისმა იდღესასწაულა დამფუძნებელ კრების გახსნის წლის თავი.

დილიდანვე მთელი ქალაქი მორთული ეროვნულ ალმებით და დროშებით.

მუშათა სასახლის წინ თავი მოიყარა თბილისის ყველა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა სარევოლუციო დროშებით. სასახლის წინ გაიმართა ჯარების აღლუმი.

დილის 10 საათზე მუშათა სასახლის წინ აღელვებულ ხალხს სიტყვებით მიმართეს პროფ. კავშირების თავმჯდომარემ ხელაძემ და ამხ. დევდარიანმა. აქედან პროცესია გამოემართა სასახლისაკენ და ელოდა საზეიმო სხდომის გათავებას.

ნაშუადღევს 11 საათზე დამფუძნებელ კრების საზეიმო სხდომა გაიხსნა.

კრება გახსნა თავმჯდომარის ამხ. ბ-ნ ლომთათიძემ და მიმართა მხურვალე სიტყვით. აღნიშნა დამფუძნებელ კრების ნაყოფიერი მუშაობა ამ წლის განმავლობაში და მოიწვია დეპუტატები, მომავალში პროდუქტიულ შრომისაკენ.

კრება მქუხარე ტაშით შეეგება ბ. ლომთათიძის სიტყვას. სასახლესთან აღელვებულ ხალხის და ლაშქარის წინაშე დიდი ენტუზიაზმით სიტყვები წარმოსთქვეს ა.ბ. ლომთათიძემ და ვ. ჯუღელმა. ორატორთა სიტყვების იმ ალაგს სადაც ბათომის საკითხს შეეხებოდა ხალხი დიდი ვაშას ძახილით შეგებებოდა. ამის შემდეგ მთელი პროცესია გაემართა ნაძალადევში საკაერთობის მოედანზე გაიმართა დიდი მიტინგი. ორატორებ შორის სიტყვა წარმოსთქვა სამხედრო მინისტრმა ბ-ნ ლორთქიფანიძემ და სხვა.

საღამოთი ქალაქი გაჩირაღდნებული იყო.

მუშათა კლუბებში და სახალხო სახლში გაიმართა საზეიმო მიტინგები რომელზედაც აუარებელი ხალხი დაესწრო.

ახალი ამბები

მთავრობაში

სასამართლოს სესიის გამგზავრება თელავში

10 მარტს თელავში გაემგზავრა თბილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილების სესია, რომელშიაც შედიან ხსენებულ სასამართლოს წევრნი ი. ფ. კურბანოვიჩი, კობიაშვილი და იდაშენკო. სესია თელავში ერთ კვირას დარჩება.

ნაფიც მსაჯულთა მეორე სესია.

15 მარტს გაიხსნება თბილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილების ნაფიც მსაჯულთა მეორე სესია. სხვათა შორის გაირჩევა ყოფილ ოფიცრის შმუნის საქმე, რომელსაც მრავალი სხვა და სხვა აფერა ბრალდება. შმუნს საბრალმდებლო აქტით კატორღა მოელის.

ფოცხოველების გაჭირვება

ფოცხოვის რაიონის სოფლების წარმომადგენლებმა მთავრობის და დამფუძნებელ კრებას გამოუგზავნეს დეპეშა, სადაც აუწერენ თავის მძიმე მდგომარეობას უსურსათობის მხრით და სთხოვენ დახმარება გაუწიონ სურსათის და სათესლე ხორბლის მოწოდებით.

სასამართლოში

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სესია

13 მარტს დასრულდა თბილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილების ნაფიც მსაჯულთა სესია. 8—13 მარტამდე სესიამ გაარჩია 18-მდე სხვა და სხვა წვრილი საქმე. აქედან: ამნისტიის ძალით მოისპო—2, გადიდო—4 გაამართლეს—5, დანარჩენ საქმეებზე თითქმის ყველას მიუსაჯეს გამასწორებელი რაზმი.

სამხედრო საგანგებო სასამართლოები

სამხედრო სამინისტრო აცნობებს იუსტიციის სამინისტროს, რომ ყველა ჯარის ნაწილებს დაეგზავნოთ ცირკულიარი რათა სამხედრო საგანგებო სასამართლოებ საკენ გადაეგზავნოს თავის განაჩენით სათანადო ოლქის სასამართლოს პროკურორებს ყველა ის საქმეებიც რომელნიც მით წარმოებაში იყო.

ფოთში კასის გაძარცვა

ქუთაისის ოლქის სასამართლოს პროკურორი მოახსენებს იუსტიციის მინისტრს, რომ მარტის 2-ს 22 ს. და 20 წუთზე ფოთში მოხდა მეართელეს კასის გაქურდვა ბოროტმოქმედთაგან წაღებულია 414.951 მან. გამოძიება სწარმოებს.

სხვა და სხვა ამბები

სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტუდენტთა კავშირის ახალი გამგეობის პრეზიდიუმ ს მიერ კვირას 15 მარტს საღამოს 5 საათზე სტუდენტთა სასადილოში დანიშნულია ახალი გამგეობის სხდომა.

სამხატვრო ქრონიკა

„სინათლე" სახელმწიფო თეატრში სამშაბათს 16 მარტს ქართულ მსახიობთა, სახელმწიფო თეატრის ორკესტრის და ბალეტის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება მეორედ „სინათლე".

სახალხო ცენტრი

კვირას მარტის 14 ს ქალაქის სახალხო დარბაზში 12 საათზე მართავს შეერთებულ სხდომას, რომელზედაც სათანადო ბარათებით არიან მოწვეულნი სახელოვნო ცენტრის, პრესის და სახელოვნო და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

დღიური წესრიგშია: საქართველოს (ყოფილი კავკასიის) მუზეუმის ფასადის სტილის შეცვლა.

* * *

† ვლადიმერ გაჩეჩილაძე

უწყინარი და პატიოსანი მუშაკი, აი ვინ იყო განსვენებული ვლადიმერ გაჩეჩილაძე.

ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში სწავლის დამთავრების შემდეგ, ის გაემგზავრა გერმანიაში უმაღლესი განათლების მისაღებად სპეციალობით—ინჟინერი, მან წყეული პოლიტიკური პირობების გამო ვერ გაიჩინა საქართველოში თავის სპეციალობის შესაფერი საქმე და მიჰყო ხელი გერმანული ენის მასწავლებლობას. მსახურობდა ჯერ ახალციხის გიმნაზიაში, სადაც ყველაზედ წარუშლელი დადებითი შთაბეჭდილება დასტოვა, და შემდეგ გადავიდა ზესტაფონის ვაჟთა გიმნაზიაში.

ვლადიმერ გაჩეჩილაძე ყველასათვის საყვარელი ადამიანი იყო. დინჯი და პატიოსანი, ის დიდის ენერგიით ეკიდებოდა თავის საქმეს. საზოგადოდ პედაგოგიის ასპარეზი ისეთი ვიწრო რამ არის, რომ აქ ძნელია ფართე წრეების ყურადღების მიპყრობა: ვლადიმერ გაჩეჩილაძეს პატივს სცემდა მისი თანამოსამსახურე; ვლადიმერ გაჩეჩილაძე უყვარდა მის მოწაფეს, მაგრამ განსვენებული არ კმაყოფილდებოდა პედაგოგიური მოღვაწეობით. ის მონაწილეობას იღებდა ჩვენი სამშობლოს პოლიტიკური ცხოვრებაშიც. ვლადიმერ გაჩეჩილაძე იყო ეროვნულ დემოკრატიული პარტიის ზესტაფონის ორგანიზაციის თვალსაჩინო და მომქმედი წევრი, რომელსაც პარტია აკისრებდა ხშირად საპასუხისმგებლო ფუნქციებს.

ვლადიმერ გაჩეჩილაძეს არ აკლდა ესთეტიური განვითარებაც. სამწუხაროდ, იშვიათია საქართველოში ისეთი ინტელიგენტი, რომელსაც სკოლის გათავების შემდეგ შერჩენია კიდევ ინტერესი მხატვრული მწერლობისადმი ან ხელოვნების სხვა დარგისადმი. ვლადიმერ გაჩეჩილაძე ამ შემთხვევაში უმცირესობას ეკუთვნოდა. ის გამახვილებული ყურადღებით ეკიდებოდა მუდამ ყოველს ახალ მოვლენას ლიტერატურაში. სხვათა შორის ვლადიმერმა სთარგმნა გერმანულ ენაზედ სუმბათაშვილის ცნობილი დრამა „ღალატი" და ემზადებოდა მისი გამოსაცემად, მაგრამ ბედმა უმტყუნა საცოდავს...

მშვიდობით, ძვირფასო ვლადიმერ. მშვიდობით სამუდამოდ! შენი სახე არ ამოიშლება შენი მეგობრების ხსოვნაში.

ს. დარიანი.

* * *

გორში

გორის მიწის ძვრის ხასიათი

(დასასრული)

ბაასი სწარმოებდა იმ საკითხის გარშემო, თუ რა არის მომავალში მოსალოდნელი. ამ მიწის რყევის შედეგად: ვულკანიურია ეს მოვლენა თუ არა, როგორ მოვიქცეთ მომავალში და სხვა.

პროფესორმა ნო-ვარეზმ განუმარტა, შემკითხველთ რომ ეს მიწის ძვრა ვულკანიური არ არის, იგი ტექტონიურია, ვულკანიური მოვლენების ირგვლივ არაფერი სჩანს, არავითარი გერიოზული ამონახეთქი, არც ქანის დიდი რღვევა და ხეთქვა არ ირკვევა. მიტომ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ უმთავრესმა მოვლენამ განიარა და ეხლა მოსალოდნელია მხოლოდ წვრილ-წვრილი რყევა მიწისა.

მეცნიერებას არა აქვს საშუალება სთქვას, მოხდება თუ არა სადმე მიწის ძვრა, ან როდის მოხდება, მაგრამ აქ დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ განმეორება ძლიერი მიწის ძვრისა, მოსალოდნელი არ არის; ზოგიერთ რყევამ შეიძლება კიდეც იმატოს სიძლიერით, როგორც ეს იყო შემჩნეული ამ დღეს მაგრამ იგი არ გაიზრდება თანდათანობით იმ მაქსიმუმამდე, რომელმაც პირველად დაანგრია ქალაქი და სოფლები.

რაც შეეხება მოქმედებას, თქვენ სწორედ განგიზრახავთ, ბარაკების შენება და მე კიდეც მიკვირს, ასე მალე როგორ მოგიწყვიათ ეს საქმეო თქვენ, იტალიელებზედ სწრაფები ყოფილხართ, რომ ამდენი თავშესაფარი გაგიკეთებიათ. მომავალში თქვენ უნდა შეუდგეთ სახლების ახალ შენებას ახალი სისტემით და მასალით ისე, როგორც ჩვენ—ვაშენებთ ჩვენ მიწის ძვრის რაიონებში.

სხვა ზოგიერთ კითხვებზედ განმარტება მისცეს ინჟ. ლ. კონიუშევსკიმ და ივ. ყიფშიძემ.

ყრილობის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა სტუმრებს და გამოვიდით გარედ. ამ დროს მოვიდა ჩვენთან რამდენიმე პირი და გვაცნობა, რომ ხაშურელებს გაუვრცელებიათ ხმა და თბილისშიც გაუგზავნიათ დეპეშები, ვითომ ამ ღამეს მიწა უნდა გასკდეს და სოფლები თუ ქ. გორი თან უნდა ჩაიტანისო, თან დაურთეს ისეთი ცნობები, ვითომ მაგალ. ჰიპოცენტრი აღმოუჩენიათ 101 ვერსსა და 125 საჟენზედ მიწის სიღრმეში და სხვა ასეთი.

ჩვენ ვეცადეთ გაგვეფანტა შიში და დაგვერწმუნებინა შიკრიკნი, რომ არაფერი ასეთი ახალი ამ ღამეს და არც შემდეგში არ მოხდება.

ქალაქში ასეთი ბაასიც საკმარისია დასამშვიდებლად, მაგრამ რით ვუშველით სოფელს? გლეხობა შეწუხებულია, მაგრამ უსიტყვოდ, თითქმის არც კი სჩივის, ისე იტანს ამ იშვიათ უბედურებას.

ჩვენს იტალიელ სტუმარს უკვირს, რომ ქართველს ამდენი მოთმინება აქვს. „ჩვენი იტალიელები ისეთ ყვირილში, ისეთ მოთხოვნაში და მუქარაში იყვნენ პირველ თვეებში, რომ ჩვენ მართლა გვეშინოდა მათი და მთავრობაც შეფიქრებული იყო—სთქვა პროფესორმა ნო-ვარეზმ—თქვენში კი, ყველა, თავის უბედურებას, სჩანს, თავის გულის სიღრმეში ატარებს და დამხმარეს თითქოს არც კი ელის, იმის მაგიერ, რომ იგი ჩვენებსავით ჩვილოდეს თუ ყვირილით ითხოვდეს მთავრობისაგანო".

—:—

შესანიშნავი სანახავია გორისჯვარი. მთის მწვერვალზე, ამაყად მდგარს, ქართლის ზედამხედველს, მრავალი საუკუნის ქარტეხილებს შეჩვეულს, სრულიად ვერ გაუძლია მიწის ძვრისათვის და ისე დანგრეულა, მოფშვნეტილია, რომ კაცი ვეღარ მოიგონებს, ან შესავალი საიდგან ჰქონდა ან ის ეკლესია სად იყო, აუარებელ მლოცველებს რომ იზიდავდა თავის გარშემო, მრავალ ლეგენდებს და სასწაულებს რომ ჰქმნიდა.

ეხლა იქ ქვა ქვაზედ აღარ დარჩენილა, მხოლოდ ციხის აღმოსავლეთით კედელი, გარდა კიდევ მოაგონებს მიწის ძვრის, მკვლევარს თუ ტურისტს, რომ აქ რაღაც უზარმაზარი სიმაგრე იყო აგებული. ეხლა გუმბათი გვერდზეა გორისკენ გადაგდებული.

ეკლესიის კედლებს ზოგს კიდევ იტყვია ნახატი წმინდანები სლავიანური წარწერებით, ხატები ნანგრევებზედ ჰყრია, ზოგი ბაირაღის ზემო ნახევარი კიდევ სჩანს, დანარჩენი მიყრილია ნანგრევში, ბარძიმის, საცეცხლურის და ზოგიერთი შანდლების ნაწილებსაც ადვილად იპოვის კაცი. დიდი ზარიც სჩანს ერთ ნანგრევში, რომელსაც [illegible] არა ეტყობა, რომ იგი სამრეკლო იყო, სხვა ორი პატარა ზარი ზეზედ მიყრილია.

სოფელ გორიჯვრიდგან გორამდე მთა-მთა რამდენიმე ნაპრალია, რომელიც შესწავლასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, მხოლოდ იგინი ვულკანიური ხასიათის მაინც არ არიან.

გორის სასაფლაოები საინტერესო სანახავია: მატურები ზოგი ასეა მობრუნებული, ზოგი ისე, ზოგს მხოლოდ ჯვარი აქვს გადმოვარდნილი, ზოგს ალლამის შუა ნაწილიც; ზოგჯერ კი, მეტადრე გორიჯვარში, ისეთი მძიმე ქვებია გადაბრუნებული, რომ მართლა გასაოცარია. ამათ მოძრაობაზედ ადვილად შესასწავლია მიწის ძვრის მიმართულება.

მეტად საინტერესოა, თუ რა მოხდა აკლდამებში, რომელიც ჯერ ხელუხლებელია. გორისჯვარში ზოგიერთი ახალი საფლავები თითქოს დალეწულია, მიწა ჩაწოლილი და ნაშალი.

საინტერესო სანახავია გორისჯვარში ერთი მატური; მშვენიერი თლილი ქვა მზეზედ ნაირ ფრად მოლაპლაპე ლაბრადორებით მოქარგული, სამი ნაწილისაგან შესდგება: პირველი მძიმე და განიერი საძირკვლის ქვა, უვნებელია, შემდეგი ალლამა აღმოსავლეთისკენაა გადმოგდებული, ხოლო დიდი არშინიანი ჯვარი დასავლეთისკენაა გადავარდნილი 5 არშინის სიშორეზედ. აგრეთვე გორის სასაფლაოზედ ყურადღებას იქცევს ორი მატური. ორივე სრულიად ერთნაირია მაღალი, ერთნაირი შავი ქვისა, ერთნაირი წარწერებით და ჯვრებით, ერთი მათგანი სრულიად უვნებელია, მეორეს კი მხოლოდ ჯვარი შემოსტრიალებია და სწორეთ სრული სწორ-კუთხედით.

მაგრამ სასაფლაოებს თავი დავანებოდ, ეს მკვლევარს მივანდოთ და ჩვენ ისევ ცოცხლებს დავუბრუნდეთ. მე მგონია, რომ ჩვენ მართლაც ნაკლე სა ვყვირით და ნაკლებათ ვაწუხებთ იმ ბედნიერთ, რომელნიც ფუფუნებაში იფლობიან დილიდგან საღამომდე განცხრომაში არიან და საღამოდგან დილამდე ათას გვარ ძვირფასს გასართობებში იხრჩობენ თავს. ყველა იმ მწუხარების იმ უბედურების მნახველს, ხშირად მომივა ხოლმე ფიქრად შევარდე სადმე კლუბში, სადაც მოცლილები ათასი თუმნებით გადადიან, თავს იქცევენ, იგებენ და აგებენ, სხვა და სხვა კაფეებში, ნაირ-ნაირ რესტორანებში და გასართობებში და ყველა სათითაოდ შევარცხვინო, გონება გაუხსნა, ტვინი ავუმოძრაო, რომ იქნება მაშინ მაინც მიხვდეს იმ უბედურების გაჭირვებას, ვინც რაღაც განგების მსხვერპლად გახდა, იქნება მაშინ მაინც გაიმეტოს თავისი ფუფუნების მცირე ნაწილი, რომ ამით ცოტაოდნათ მაინც დაუფაროთ ის ხარჯი, რასაც ჩვენს რე პუბლიკას მოელის დანგრეულ ქალაქის და სოფლების მომავალ შენებაზედ, რის შესახებაც შემდეგ მოგახსენებთ.

ინჟ. ივ. ყიფშიძე.

რედაქტორი
„სარედაქციო კოლეგია"
გამომცემელი თბ. ვაჭ-მრ. კომიტეტი

დიდი
[illegible]
ბაზარი
დამფუძნებელ კრების ქუჩა
(ხახან. ქ. № 3.)
მ ა ღ ა ზ ი ა
ე. ცატუროვისა
ყიდულობს და იღებს კომისიოზე ყოველ გვარ საქონელს: ხალიჩებს, ავეჯეულობას, ქურჭლეულობას, ვერცხლს, ოქროს და ბრილიანტს და სხვას. ახურდავებს ფულს 5—3

ვეძებ
2—3 ოთახს
I, II, III ან IV უბანში
ფასს არ დავიშურებ
მაცნობეთ: „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციაში გრ. მაჭავარიანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 34 ვაჭრობა და მრეწველობა № 34
საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის რედაქციით

თამბაქოს ქარხნების გამოკვლევა ქ. თბილისში

თბილისში ამ ჟამად არსებული თამბაქოს ქარხნები ორ ჯგუფად იყოფა პირველ ჯგუფს ეკუთვნის ქარხნები, რომელნიც გახსნილნი იყვნენ 1919 წ. წლამდე და მეორეს გახსნილნი 1919 წ.

პირველ ჯგუფს შეადგენს 6 ქარხანა: 1) სააქც. საზ-სა „ა. ენფიანჯიანცი", 2) სავაჭ. სახ. ძმ. სეილანოვებისა, 3) ამხანაგ. „კომეტა", 4) ამხ-ბა „შ. მ. საფაროვი", 5) სავაჭ. სახ. „ნ. ი. ბოზარჯიანცი და ძენნი" და 6) სააქც. საზ-ბა „მირი", უკანასკნელი სრულიად შთანთქა ცეცხლმა 1919 წლ. ნოემბრის 20.

ზემოხსენებული 5 ქარხანა მოწყობილია მცეცავი დაზგებით, პაპიროსის მასრების და გამტენი მანქანებით და წარმოებისთვის საჭირო სხვა და სხვა მექანიკურ ხელსაწყობებით. თამბაქოს ცეცვა და პაპიროსის დამზადება ხდება მანქანის საშუალებით; ხელით ხდება განსაკუთრებით თამბაქოს ხარისხებად დაყოფა და გაშრობა, დაწებება და ჩალაგება.

თამბაქოს ქარხნების მოქმედება დახასიათდება გადამუშავებულ ფოთლოვან თამბაქოს რაოდენობით წლიურად და ნაწარმის რაოდენობით დაცეცვილ თამბაქოსი და პაპიროსებით.

5 ქარხანას გადაუმუშავებია ფოთლოვანი თამბაქო:

1914	51.035 ფუთ.	11 გირ.
1916	80.639 ფ.	30 გირ.
1919	31.049 ფ.	28 გირ.

შეუქმნია ნაწარმი: ა) დაცეცვილი თამბაქო.

1914	891.928 გირ.
1916	1.018.586 „
1919	413.351 „

ბ) პაპიროსები:

1916	1.286.933000 ცალი
1916	1.852.362.200 „
1919	713.476.180 „

ამ რიგად 1916 წელს გადაუმუშავებიათ ფოთლოვანი თამბაქო 19.604 ფუთით მეტი, ვიდრე 1914 წელს და 1919 წელს 49,590 ფუთით ანუ 62 პროც. ნაკლები, ვიდრე 1916 წელს.

დაუმზადებიათ დაცეცვილი თამბაქო 1916 წელს 126.658 გირვანქით მეტი, ვიდრე 1914 წელს, და 1919 წელს 605.225 გირ. ანუ 59 პროც ნაკლები, ვიდრე 1916 წელს.

1916 წ. დაუმზადებიათ 565.429.200 ცალი პაპიროსით მეტი, ვიდრე 1914 წელს და 1919 წელს 1.138.885.020 ცალით ანუ 61 პროც. ნაკლები, ვიდ- 1916 წელს.

ნამდვილად კი 1919 წელს გამოშვებული თამბაქოს ნაწარმოების რაოდენობა აჭარბებს ზემო აღნიშნულს, რადგან 20 ნოემბრამდე მუშაობდა სააქც. საზ. „მირი"-ის ქარხანა, რომელსაც, დაახლოვებულ ცნობების მიხედვით, დაუმზადებია 11 თვის განმავლობაში: 252.560 გირ. დაცეცვილი თამბაქო და 45.049.000 ცალი პაპიროსი.

ზემოხსენებულ 5 ქარხანას 1919 წელში დაუმზადებია თამბაქოს ნაწარმი ღირებული, უაქციზოთ, 62 888.654 მანეთად (1916 წელს 8 000 000 მანეთამდე) და გადაუხდიათ სარტყისა (бандероль) 35.283.701 მან. (1916 წელს 8.000.000 მანეთამდე).

მუშათა საშუალო რიცხვი დღე ღამეში 5 ქარხანაში იყო: 1914 წ.—1003, 1916 წ.—1164 და 1919 წ. შედარებით 1916 წელთან შემცირდა 22 პროც.

წლიური საშუალო რიცხვი სამუშაო დღისა ხუთივე ქარხანაში იყო: 1914 წ.—284, 1916 წ.—286 და 1919 წ.—8. ყველა ქარხნებზე მუშაობა სწარმოებდა მუშათა ერთ წყების საშუალებით.

1916 წელს ხუთივე ქარხანას უმუშავნია—1164.286.10=3.329.040 საათი, სადაც 1164 მაჩვენებელია მუშათა საშუალო რიცხვისა დღეღამეში ხუთივე ქარხანაში: 286—წლიური საშუალო სამუშაო დღის რიცხვია და 10—სამუშაო საათის რიცხვია დღეღამეში.

1919 წელს—908·290.8=2.106.560 საათი სადაც 980 მუშათა საშუალო რიცხვია დღე-ღამეში ხუთივე ქარხანაში; 290 წლიური საშუალო სამუშაო დღის რიცხვია და 8 სამუშაო საათის რიცხვია დღე-ღამეში.

1919 წელს სამუშაო საათის რიცხვი 1919 წელს შედარებით 1916 წელთან შემცირდა 1.228.480 საათით (3.329.040—2.106.560) ანუ 36 პროც., იმ დროს როდესაც გადამუშავებულ ფოთლოვან თამბაქოს რაოდენობა შემცირდა 62 პროც

1916 წელს გადაუმუშავებიათ 80 639 ფუთი და 30 გირ. ანუ 3.225.590 გირ. ფოთლოვანი თამბაქო. მუშათა საშუალო რიცხვი დღე ღამეში ხუთივე ქარხანაში იყო 1.164.

საშუალოდ წლიურად თითო მუშაზე დამუშავებული თამბაქო მოდიოდა 3.225.590:1·164=2 771 გირვ.

1919 წ. დაუმუშავებიათ 31.049 ფუთი ანუ 1.241.988 გირ. ფოთლოვანი თამბაქო. დღე-ღამეში მუშათა საშუალო რიცხვი იყო 908. საშუალოდ წლიურად თითო მუშაზე დამუშავებული თამბაქო მოდიოდა—1.241.988:908=1.368 გირ.

2771 და 1368 რიცხვების შესადარებლად საჭიროა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ 1916 წელს მუშაობა ქარხნებში სწარმოებდა 10 საათი, და 1919 წელს კი 8 საათი. 277 გირვ დაყვანილი 8 საათზე მოგვცემს 2217 გირ., მაშასადამე 1919 წელს დამუშავებული ფოთლოვანი თამბაქო მოდიოდა თითო მუშაზე 849 გირვ. (2217—1368=849) ანუ 38 პროც. ნაკლები, ვიდრე 1916 წელს, და ამასთანავე სამუშაო საათების რიცხვი დღე-ღამეში ერთი და იგივე აღებული (8).

1918 წლიდან მოყოლებული თამბაქოს ქარხნები განიცდიან მწვავე კრიზისს წარმოებისთვის საჭირო ქაღალდის მასალის სიმცირის გამო, როგორც მაგალითად: პაპიროსის სამასრო და სამუშტუკო ქაღალდის კოლოფების მუყაოს (картонъ) ხვეულის დასამზადებელ, ეტიკეტის და ჩასალაგებელ ქაღალდისა. 1918 წელს სამმა ქარხანამ (ენფიაჯიანცისამ, ძმ. სეილანოვისამ და „კომეტამ") შეიძინა 9084 ცალი სამასრო და სამუშტუკო ქაღალდი და დახარჯა 24,856 ცალი.

1918 წ. 1 იანვრისათვის ამავე ქარხნებს სამაგიეროდ ჰქონდათ 41,695 ცალი სამასრე და სამუშტუკო ქაღალდი და 1919 წ. 1 იანვრისთვის 18,491 ცალი.

სიმუშტუკო ქაღალდი. ზემოხსენებულ ქარხნებმა შეიძინეს 1918 წელს 5954 ფუთი და დახარჯა—13,248 ფუთი.

1918 წ. 1 იანვრისთვის—7707 ფ.

მუყაო და სხვა და სხვა ქაღალდი. იმავე ქარხნებმა შეიძინეს 1918 წელს 7313 ფ დაიხარჯა 9939 ფ. და 972 შეკვრა.

სამაგიეროდ 1918 წლ. 1 იანვრისთვის იყო 13,361 ფ. და 1444 შეკვრა, 1919 წ. 1 იანვრისთვის კი—9296 ფ. და 42 შეკვრა.

თამბაქოს მრეწველობისთვის ქაღალდის დიდი მნიშვნელობა სჩანს შემდეგი ცნობიდან, რომელიც მიღებულია ერთერთ ქარხნიდან.

1918 წელს გამოწვეული იყო წარმოებისთვის ყოველგვარი და ყოველი ხარისხის ქაღალდი ღირებული 3,627,794 მან. ფოთლოვანი თამბაქო კი 1,086,336 მანეთისა, ე. ი. ქაღალდის ღირებულობა სამჯერ მეტი იყო.

მეორე ჯგუფს შეადგენენ ქარხნები, რომელნიც გახსნილნი იყვნენ 1919 წ. მეორე ნახევარში და ეკუთვნოდათ ამხ-ბებს: „სლონ"-ს, „დრუჟბა"-ს, „შვიდ მნათობი"-ს და „დასტ-ხოში"-ს. ჩამოთვლილ ქარხანათა შორის მხოლოდ ერთს—ამხ ბა „სლონ" აქვს მექანიკური მოწყობილობა (მცეცავი დაზგები, სამასრო-სამუშტუკო და გასატენი მანქანები, რომელთაც ამოძრავებს 6-ს ძალიანი მოტორი და იღებს ელექტრონის ენერგიას კერძო ელექტრონის სადგურიდან). დანარჩენ ქარხნებში (3) მუშაობა სწარმოებს ხელით, და ამიტომ მათი მოწყობილობა შესდგება ხელის მცეცავი დაზგებისა, მაგიდებისა და ტაბურეტებიდან.

1919 წლის მეორე ნახევარში ამ ჯგუფის ყველა ქარხნებში გადამუშავებული იყო 2321 ფ. და 22 გირ. თამბაქო და დამზადებული ნაწარმი: დაცეცვილი თამბაქო 30,315 გირ. და პაპიროსი—5.188,370 ცალი.

მუშათა რიცხვი ამ ქარხნებში იყო 63. თუ მივიღებთ მხედველობაში რომ თამბაქოს 5 ძველი ქარხნის წარმადობა ახლო მომავალში ძნელად თუ შესამჩნევად იმატებს, რადგან ჯერ ჯერობით სრულიად არ შეცვლილა ის პირობანი, რომელნიც იწვევენ წარმადობის ასეთ შემცირებას, და იმასაც რომ ქარხანა „მირი"-მ სრულიად შეაჩერა მუშაობა—უნდა მოველოდეთ თამბაქოს ნაწარმის ნაკლებობას, როგორც შინა ბაზარზე, აგრეთვე საზღვარ გარედ გასატანად.

დამწვარ ქარხნის „მირი"-ის ერთგვარ მცირე ასანაზღაურებლად შეიძლება ჩაითვალონ ზემო ხსენებული ქარხნები, მაგრამ, რადგან მათი უმეტესი ნაწილი მუშაობს პაპიროსის მზა მასრებზე, რომელნიც დამზადებულნი არიან ადგილობრივ სამასრე ქარხნებში, ამიტომ მოქმედება ახლად გახსნილ თამბაქოს ქარხნების უდიდეს ნაწილისა, პაპიროსების დამზადების მხრივ, განსაკუთრებით დამოკიდებულია იმაზე იშოვნიან თუ არა სამასრე ქარხნები ნაწარმისთვის საჭირო ქაღალდის მასალას.

ინჟ. მ. ბრაილოვსკი.

თანამედროვე მდგომარეობა მარგანეცის მრეწველობისა

წერილი მეოთხე.

მარგანეცის გამომუშავება და გაზიდვა

ცნობილია რომ მარგანეცის დანიშნულება არის ორნაირი: უდიდესი ნაწილი მარგანეცისა მიდის მეტალურგიულ წარმოებაში, მცირე ნაწილი ქიმიურ ქარხნებში. ასე რომ თუ მეტალურგიული წარმოება ყვავის მსოფლიო ბაზარი მარგანეცსაც შესაფერად მოითხოვს, თუ მსოფლიო მეტალურგიული წარმოება კრიზისს განიცდის, მარგანეცის მოთხოვნილებაც სუსტდება. მაშასადამე უმთავრესი მიზეზი მარგანეცის გატანის თუ დამუშავების განვითარებისა ან შემცირებისა არის მსოფლიო მეტალურგიული წარმოების ვითარება. მეორე უმთავრესი მიზეზი მარგანეცის დამუშავება—ექსპორტისა განვითარება—შეფერხებისა არის ტონაჟი. ცნობილია რომ მსოფლიო მრეწველობის ცენტრებია დასავლეთი ევროპა და ჩრდილო ამერიკა. ეს ცენტრები იზიდავს აუარებელ დაუმუშავებელ საქონელს; ამისათვის კი საჭიროა აუარებელი რიცხვი სავაჭრო გემებისა. თუ მსოფლიოს ამა თუ იმ კუთხეში ომიანობაა, ძისი საჭიროება მოითხოვს და ხმარობს გემების დიდ ნაწილს. ეს გარემოება კი საშუალებას ართმევს. მსოფლიო ბაზარს ისარგებლოს გემებით იმდენათ, რამდენათაც ეს ხდება ჩვეულებრივ დროს და ამრიგად სხვა გადასამუშავებელ საქონელთა შორის მარგანეცის გაზიდვის საქმეც ფერხდება. ეს ორი უმთავრესი გარემოება საერთოა ყველა ქვეყნის მარგანეცისათვის და კერძოთ ჭიათურისათვისაც- ორი მაგალითი საკმარისია ამის დასამტკიცებლად: 1907 და 1908 ჩამოვარდა მძაფრი მეტალურგიული კრიზისი ამერიკასა და ევროპაში, იმ გარემოებამ საგულისხმოთ შეაჩერა მარგანეცის შეზიდვა ევროპასა და ამერიკაში. იაპონიის ომის დროს შესამჩნევად აიწია საზღვაო ფრახტმა და ამ უკანასკნელი ომისა და რუსეთ—გერმანიის რევოლუციის დროს ხომ საზღვაო გაძვირდა და საკმაო გემები არ მოიპოვება; უმეტესი ნაწილი გემებისა დაიღუპა ომის დროს, დარჩენილი კი ჯარებისა და მათ სურსათის ტრანსპორტს უნდება. იმის საჩვენებლად თუ როგორ იცვლებოდა ფრახტი პოლიტიკური ცვლილების მიხედვით, საკმარისია მოვიყვანოთ შემდეგი ცნობები: 1904—1905 1906 1907 ფრახტს არ დაუწყვია 10 პენსის ქვეით თითო ტონაზე; შემდეგ წლებში ოსმალეთ იტალიისა და ბალკანეთის სახელმწიფოების შორის გამართულ ომამდე ფრახტი საშუალოთ 8,5 პენსი იყო; როგორც კი დატრიალდა ახლო აღმოსავლეთში ომის სუნი, ფრახტი თითქმის 13 პენსამდის ადის; 1914 წლის პირველ ნახევარში საზღვაო ფრახტი ჩამოდის ისევ 8 პენსამდის. 1914 წლის მეორე ნახევარმა სავსებით შესცვალა მდგომარეობა: ფრახტი დიდის სისწრაფით იზრდება და 1915 წელში აღწევს 40 პენსს, 1916—220 პენსამდის მიდის და დღეს ყველამ იცის რომ ფრახტი 3—5 გირვანქა სტერლინგამდის ადის ტონაზე. მშვიდობიანობის სუნი დატრიალდა და იმედია რომ თუ ახალი რამ გარემოება არ დაიბადა, ფრახტი დაიწევს, რადგან აუარებელი რიცხვი გემებისა განთავისუფლდება მსოფლიო დემობილიზაციის შემდეგ.

ეს გარეშე მიზეზებია, რომელნიც ამა თუ იმ გავლენას ახდენენ მარგანეცის დამუშავება გაზიდვის ნორმალურად განვითარებაზე. მაგრამ მიზეზები შინაურიც ბევრია: მათ შორის არიან 1) ტრანსპორტის მოუწყობლობა მაღაროებიდან რკინის გზის სადგურამდის, 2) რკინის გზის სისუსტე, რათა სავსებით შეასრულოს მრეწველობის მოთხოვნილება, რათა საკმაო რიცხვი ვაგონებისა ჰქონდეს მზათ საჭიროების დროს.

3. დატვირთვა-გადატვირთვის მოუწყობლობა ჭიათურასა, შორაპანსა და ფოთში.

4. ფოთის ნავთსადგურის მოუწყობლობა (ელევატორი უქმად არის რადგან იმედები სრულიად ვერ გამართლდა და მას იმ სახით, როგორც იგი დღეს არის, არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა მრეწველობისათვის არა აქვს, რადგან არც დროისა და არც მუშა ხელის ეკონომიას არ იძლევა; აგრეთვეა ნავთსადგურის მდგომარეობა, სადაც დიდ ტონაჟიან გემებს შემოსვლა არ შეუძლიათ, რადგან ნავთსადგური ამოსილულია).

6. მუშათა საკითხები (ის გარემოება რომ საკმაო მუშა ხელი ჭიათურის რაიონში მხოლოთ სეზონობით არის ე. ი. იმ დროს როდესაც მიწის მუშაობის დრო არ არის და მეორეს მხრით მუშათა გაფიცვები).

ყველა ეს მიზეზები დიდათ აფერხებდა და მომავალშიაც დიდათ შეაფერხებს მრეწველობის განვითარებას, თუ დროზე ღონისძიებანი არ იქნა მიღებული ყოველ ზემო მოყვანილ დარგში. ამით და ბევრი სხვა წვრილმანი მიზეზებით აიხსნება ის გარემოება, რომ მარგანეცის გაზიდვა და გამომუშავება იმ ტემპით და სისწრაფით არ იზრდებოდა, როგორც ეს შეეფერებოდა მარგანეცის მოთხოვნილებას მსოფლიო ბაზრის მიერ, და როგორც იგი ვითარდებოდა თუ გინდ ინდოეთში, რომელმაც ჩვენ ბევრათ გაგვისწრო წინ, თუმცა ინდოეთის მარგანეცი ბევრათ უკან ჩამორჩება ჭიათურისას როგორც თავისი გეოგრაფიული მდებარეობით (მსოფლიო ბაზრის სიახლოვე) აგრეთვე ბუნებრივი სიმდიდრით.

Tertius.

(დასასრული იქნება)

გამოკვლევა დამმუშავებელ მრეწველობის წარმოებათა საქართველოს რესპუბლიკაში

1919 წლის ბოლოდან საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა შეუდგა დამმუშავებელ მრეწველობის წარმოებათა გამოკვლევას. პირველ რიგში ჩაწერილია თბილისში არსებული წარმოებანი, რის შემდეგაც დაიწყება გამოკვლევა იმ წარმოებათა, რომლებიც არსებობს საქართველოს რესპუბლიკის სხვა ადგილებში.

უკვე შედგენილ პროგრამით გამოკვლეული იქმნება დამმუშავებელ მრეწველობის ქვემორე აღნიშნულ ჯგუფების წარმოებანი:

1) თამბაქოსი.
2) გილზისა.
3) კოლოფებისა.
4) კარტონისა.
5) ტყავეულობისა, ფეხსაცმელისა და ნაბდისა.
6) საპონისა.
7) ერბო-კარაქისა.
8) ლითონის დამუშავებისა.
9) ხუროების (ხე-ტყის სახერხისა) და ხის დამუშავებისა (ავეჯეულობისა და ფანერების კეთებისა).
10) ბამბის საქსოვისა.
11) მატყლის ქარხნები.
12) ბამბის კეთებისა.
13) აგურხანები და კრამიტისა.
14) შუშისა.
15) სკიპიდარისა, კონიფოლისა და შაქრისა (ნაძვისა).
16) ფეხსაცმელის შპილკებისა და ქუსლებისა.
17) ასანთისა.
18) ქიმიურ ნივთიებისა.
19) მაკარონისა.
20) კონსერვებისა (ხილისა და ბოსტნეულობისა .
21) კონვერტებისა.
22) წისქვილები.
23) ლუდისა.
24) სპირტის გამოხდისა.
25) კონიაკისა.
26) სადებავი წამლებისა.
27) ალებასტრისა.
28) პურის ხაშისა.
29) თიხისა.
30) ელექტრონისა.

გამოკვლევა ხდება ამ გვარათ: თბილისის რაიონის ქარხნების საზოგადოება აგზავნის სპეციალურ საკითხების ფურცლებს, რომლებშიაც უნდა ჩაიწეროს საჭირო ცნობები და აგრეთვე იკრიბება ცნობები ადგილობრივ სამრეწველო დაწესებულებებში სავაჭრო-სამრეწველო პალატის რწმუნებულის მიერ.

გამოკვლევა, რაც შეიძლება სავსებით, უნდა შეეხოს 1914, 1916 და 1919 წლებს, რადგანაც ეს წლები უფრო დამახასიათებელია დამმუშავებელ მრეწველობისთვის.

1914 წელს ამ მრეწველობის დაწესებულებათა მოქმედება იყო ნორმალური, 1916 წელს ომის გამო ზოგიერთი დაწესებულება იძულებული იყო რაც შეიძლება მომეტებულად ემუშავნა, ამიტომ ხსენებულ დარგთათვის 1916 წელი უნდა ჩაითვალოს უფრო ნაყოფიერათ, ხოლო 1919 წელს კი თითქმის ყველა დარგი წარმოებათა მეტად დაქვეითდა.

გამოკვლევის მიზანია: დამმუშავებელ მრეწველობის ბევრათ თუ ცოტათ ნორმალურ მდგომარეობაში ჩაყენება იმ უახლოეს პირობათა შესწავლით, რომელთა განხორციელება ან თავიდგან აცილება იქნება საჭირო. შესწავლა ამ პირობათა შეიძლება შედარებით თითოეულ აღნიშნულ წლების მასალათა და ცნობათა, რომლებიც ახასიათებენ მრეწველობის უმთავრეს დარგის მდგომარეობას.

შემუშავებულ პროგრამის მიხედვით თითოეულ წარმოებიდან უნდა შეიკრიბოს 1914, 1916 და 1919 წლების ცნობები, რომლებშიაც იქნება აღნიშნული:

1) რაოდენობა დამუშავებულ ნივთებისა დარგებით—რიცხვით ანუ წონით;

2) რაოდენობა დამუშავებულ მასალისა დარგებით რიცხვი ანუ წონა;

3) ცნობები სამუშაო ძალები (საშუალო რიცხვი მუშებისა ერთ დღელამეში, წარმოების სამუშაო დღის რაოდენობა წელიწადში, იცვლებიან თუ არა მუშები, რაოდენობა მოსამსახურეთა).

4) როგორ სწარმოებს მუშაობა (მანქანებით თუ ხელით).

5) როგორი მანქანებია წარმოებაში და საზოგადოთ მათი ძლიერება.

6) წლიური ხარჯი სათბობი მასალისა (ფუთობით) და ელექტრონის ენერგიისა კილოვატსაათით.

7) ბაზრის ფასი (მანეთობით) ყველა დამუშავებულ საგნებისა; იმ საგნებისთვის, რომელზედაც აქციზია დაწესებული, უნდა აღინიშნოს ფასი უაქციზოთ და ცალკე გადახდილი აქციზისა (ბანდეროლი).

ცნობების წარმოდგენა (მანეთობით) თითოეულ წარმოებისთვის საჭიროა მისთვის, რომ შესაძლებელი შეიქნეს საერთო მეურნეობის შეერთებულ ცნობებში აღინიშნოს—რა ადგილი უჭირავს მრეწველობის თითოეულ დარგს.

ცნობათა მეორე კატეგორიას შეადგენენ სპეციალ გამოკვლევის ცნობები, სახელდობრ:

1. მომარაგება წარმოებისა მასალით: ა) საიდგან არის მოტანილი მასალა—საქართველოდან თუ საზღვარგარეთიდან, ბ) რა აბრკოლებს მასალის შეძენას წარმოებისთვის (კერძოთ ის დაბრკოლება, რომელიც დაკავშირებულია საქონლის გაცვლა გამოცვლის მიღებულ წესთან· შემოტანის შემოზღუდვით); ადმინისტრატიული აკრძალვა საქონლის გადატან-გადმოტანისა საქართველოს საზღვრებში და სხვა), გ) დაძვირება მასალისა, დ) მასალის ღირსების შემცირება.

2. მომარაგება წარმოებისა სათბობი მასალითა და ელექტრონის ენერგიით: ა) საზოგადო დახასიათება მრეწველობის აღნიშნულ დარგის მომარაგებისა სათბობი მასალით; ბ) როგორი სათბობი მასალით სარგებლობდა მრეწველობის აღნიშნული დარგი 1914 წელს და სარგებლობს ამ ჟამათ (1919 წ.), ცვლილებანი წარმოების ტეხნიკაში, ამ პირობებთან დაკავშირებული; გ) მოხდა თუ არა წარმოებაში შეცვლა მანქანების მუშაობისა ხელით მუშაობაზე იმის გამო, რომ სათბობი მასალა ან სულ არ იშოვებოდა, ან მეტათ დაძვირდა; დ) დაძვირება სათბობი მასალისა; ე) გაძვირება ელექტრონის ენერგიისა.

3. შინაგანი პირობები წარმოებისა: 1) სატეხნიკო მოწყობილობის მდგომარეობა; ა) დაძველება, რაოდენობის შემცირება და ტეხნიკური დაქვეითება მოწყობილობისა; ბ) შედარება წარმოების მაქსიმალური და ფაქტიური დამუშავებისა 1914 და 1919 წლებში; გ) ხარჯები მოწყობილობის საგნების რემონტისთვის 1914 და 1919 წ.წ. დ) მოწყობილობის საგნების შეკეთებისთვის საჭირო ხარჯები; გაკეთებულ ნივთების ღირსების დაკლება; 2) პირობები დაქირავებულ შრომის სარგებლობისა: ა) შრომის ნაყოფიერების შეცვლა; ბ) სამუშაო ფასის ფორმა; გ) ღირსება შრომისა კერძოთ პროც. დაწუნებულ ნივთებისა; დ) ნაწილი შრომის საფასურისა გაკეთებულ ნივთების საერთო ფასთან შედარებით—1914 და 1919 წ.წ.

4. წარმოების საგნები: ა) წარმოების საგნები 1914 წელს (ჩვეულებრივი) ბ) იგივე 1919 წ. (ახლანდელი) გ) პირობები, რომელთაც გამოიწვიეს წარმოების ხასიათის შეცვლა.

5. ორგანიზაცია გაყიდვისა: ა) წარმოების ნივთების გაყიდვის რაიონი 1914 და 1919 წ. ბ) გავლენა სხვადასხვა აკრძალვისა გაყიდვაზე.

6. ტრანსპორტი: ა) გავლენა რკინის გზის ტარიფებისა; ბ) ტრანსპორტის ტეხნიკურ დაბრკოლებათა გავლენა, მაგალითად: ლაკომობილებითა და ვაგონებით სარგებლობის დაბრკოლებანი, შიში ბარგის დაკარგვისა, დაგვიანება ტრანსპორტისა; დამოვის მოთხოვნილებანი, ფოსტისა და ტელეგრაფის მიწერ-მოწერა და სხვა.

შინაურ და საზღვარ-გარეთის ბაზრებზე უცხოეთის ნაწარმოებთან კონკურენციის პირობები.

7. რომელი ნაწილი წარმოებისა იხარჯება ადგილობრივ და რომელი გადის გარედ.

სატამოჟნო პოლიტიკა.

8. საზოგადო პირობანი: ა) პოლიტიკური; ბ) უფლებრივი (კერძოთ კანონები, დებულებანი და განკარგულებანი, რომლებიც ხელს უშლიან მრეწველობის განვითარებას), გ) ეკონომიური (კერძოთ ვალიუტისა, სპეციალურათ დაკავშირებულია კრედიტის ორგანიზაციასთან და სხვა.) დ) გარდასახადისა (გავლენა სახელმწიფო და სამოქალაქო გარდასახადის ტვირთისა).

9. სხვა პირობები, დამახასიათებელი დამმუშავებელ მრეწველობის მდგომარეობისა 1919 წელს 1914 წელთან შედარებით.

10. რა განზრახულებანი არსებობს წარმოების შემდეგი მოქმედებისათვის

11. რა ზომების მიღებაა საჭირო მრეწველობის ამა თუ იმ დარგის აღორძინებისა და განვითარებისთვის.

წარმოების გამოკვლევა ჯგუფობით ესე იგი გამოიკვლევა ყველა წარმოება თამბაქოს ფურცლის დამუშავებისა, შემდეგ ყველა წარმოება ხის დამუშავებისა, ტყავისა და სხვ.

პირველი რიგი გამოკვლევისა—წარმოებაა საქართველოს საზღვრებში აღმოჩენილ დასამუშავებელ ნივთებისა, მაგალითად: თამბაქო, მატყლი, აბრეშუმი, ხე-ტყე, სამსუქნე (ძონი, ერბო, კარაქი, ზეთი) ტყავი, სიმინდი, ქერი, ყურძენი, სპილენძი თიხა და სხვ.

გამოკვლევის მეორე დარგში ჩარიცხული იქნება ის წარმოებანი, რომელთათვის მასალა მოტანილ უნდა იქნეს საქართველოში სხვა სახელმწიფოებიდან, სახელდობრ: ბამბა, ბამბის თესლი, ქაღალდი, რკინა, თუჯი, ფოლადი და სხვ.

შეგროვილი ცნობები და დასკვნანი დამყარებულნი მიღებულ ცნობებზე, უნდა განიხილონ, წარმოების ცალკეული ჯგუფებათ, თითოეულ ჯგუფისთვის, სამრეწველო წარმოებათა იმავე ჯგუფის წარმომადგენლებმა ერთად, რომელნიც გამოსძებნიან, სპეციალ გამოკვლევის საკითხების მიხედვით, შესაფერ ღონისძიებათ, რომელთაც მიზნათ ექნეთ აღორძინება და განვითარება დამმუშავებელ მრეწველობისა.

ამ ჟამათ დამთავრებულია გამოკვლევა თამბაქოსი და გილზების ქარხნებისა. ამ გამოკვლევათა შედეგის მოკლე ცნობები ახლო მომავალში დაიბეჭდება.

მ. ბ—ი.

სტამბა სამხედრო სამინისტროსი, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 3